ინ ფორმაცია

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტალური მადნების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი/შენიშვნაზე რეაგირება
ა/ო მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	გზშ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მადნის ტრანსპორტირებისთვის კომპანია უკვე არსებულ საავტომობილო გზებს გამოიყენებს. როგორც სკოპინგის, ასევე, გზშ ანგარიშის საჯარო განხილვაზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სატრანსპორტო დერეფანი გარკვეულ ადგილებზე პირუტყვის გადასარეკ ტრასებს კვეთს და სათანადო შეფასებას საჭიროებს. თუმცა, ეს საკითხი გზშ ანგარიშში მაინც არ აისახა.	აღნიშნული საკითხის შესახებ მითითება განსაზღვრული იყო ასევე სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნაში. კომპანიის მხრიდან საკითხი გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია. კერძოდ გზშ-ის ანგარიშში მითითებულია შემდეგი: ,,აღსანიშნავია, რომ მადნის სამოძრაო გზაზე არსებობს პირუტყვის გადასარეკი ტრასა. აღნიშნული ფაქტორი გათვალისწინებულია მადნის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის შედგენის პროცესში''.
ა/ო მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	ანგარიშის მიხედვით, ბექთაქარის საბადოდან მადნის ტრანსპორტირება განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში. დანართი 1-ში წარმოდგენილია მადნის საზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების გრაფიკი (გვ. 313). ცხრილებიდან ირკვევა, რომ ტრანსპორტის გადაადგილება მხოლოდ 03:10 საათიდან 08:00 საათამდე შეიზღუდება. გზშ დოკუმენტიდან ასევე ირკვევა, რომ გარკვეულ მონაკვეთებზე, მძიმეწონიანი მანქანები მჭიდროდ დასახლებულ უბნებს გაივლის. გარდა იმისა, რომ ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ამ ტერიტორიებზე	გზშ-ის ანგარიშში მოცემულია მადნის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მადნის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითად შემარბილებელ ღონისძიებებს წარმოადგენს: მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა, ტრანსპორტირების მთელი მარშრუტის მორწყვა, სატრანსპორტო საშუალებების ძარის გადახურვა, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის დაცვა. ღამის საათებში მადნის საზიდ მარშრუტზე 15 დან 25 ტონამდე ტვირთამწეობის ავტოთვითმცლელი მანქანების მოძრაობით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის, ამასთან საკითხის სენსიტიურობის გათვალისწინებით სამინისტრომ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში უზრუნველყო შესაბამისი

	დასახლებული ადამიანების საარსებო გარემოზე - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ადამიანებისა და პირუტყვის გადაადგილებისათვის მომეტებული საფრთხე, ღამის საათებში მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია ამ ზემოქმედებას დაუშვებელ ზღვრამდე ზრდის.	პირობის განსაზღვრა, კერძოდ კომპანია ვალდებულია სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ბექთაქარის საბადოდან ნედლეულის ტრანსპორტირების განახლებული გეგმა-გრაფიკი, სადაც განისაზღვრება ღამის საათებში ნედლეულის ტრანსპორტირების **აკრძალვის** საკითხი. ამასთან, მადნის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, კომპანია ასევე ვალდებულია: • ბექთაქარის საბადოს გარდა სხვა კარიერებიდან/საბადოებიდან მოპოვებული ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამუშავების შემთხვევაში, უზრუნველყოს მადნის ტრანსპორტირების შესახებ განახლებული/დეტალური ინფორმაციის, მათ შორის: ტრანსპორტირების სქემის/ სამოძრაო მარშრუტების (რუკაზე ჩვენებით), ტრანსპორტირების პირობების, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის, სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა; • მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მადნის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი გზის მორწყვის გეგმა-გრაფიკის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა.
ა/ო მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	როგორც ანგარიშიდან ირკვევა მადნის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება არსებული გზები, რომლებიც მდებარეობს სოფლების: ბერთაკარი, ძეძვნარიანი, ძველი ქვეში, ქვეში, ჯავშანიანი, კიანეთი და დაბა კაზრეთის მიმდებარედ. 2021 წლის 15 მარტს ჩატარდა გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრაზე, როგორც მწვანე ალტერნატივას, ასევე ბოლნისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ერთ-ერთი შეკითხვა/შენიშვნა ინფორმაციის გავრცელებას ეხებოდა. შეკითხვაზე, ფლობდა თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების	საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სამინისტრომ უზრუნველყო კანონმდებლობის შესაბამისად. მათ შორის ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიაზე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ №2-94 ბრძანების შესაბამისად, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით სამინისტრო

	მოსახლეობა საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციას; იყო თუ არა ამ სოფლებში განცხადებები გაკრული - სამინისტროს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთი რამ არ მომხდარა (ინფორმაცია განთავსდა მხოლოდ დაბა კაზრეთში და ბოლნისის მერიის შენობაში, ასევე ონლაინ სამინისტროს ვებ-გვერდზე). გამომდინარე იქედან, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა არა მარტო ერთი დასახლებული არეალი (დაბა კაზრეთი), არამედ ექვსი სოფელი, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს საჯარო განხილვის შესახებ განცხადების გავრცელება ზემოთხსენებულ სოფლებში (საჯარო ადგილებზე, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას: ტრანსპორტის გაჩერებაზე, სკოლასთან, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან, სავაჭრო ცენტრთან, ფოსტის ოფისთან ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებთან). მიგვაჩნია, რომ საზოგადოების სათანადო ინფორმირების გარეშე ჩატარებული შეხვედრა არ შეიძლება ჩაითვალოს საჯარო განხილვად. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული პირების სათანადო ინფორმირება საჯარო განხილვის შესახებ, მიაწოდოს ინფორმაცია პროექტის შესახებ და მისცეს პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამ პროცესის გარეშე გადაწყვეტილების მიღება იქნება მოქალაქეებისათვის კონსტიტუციით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსითა და ორჰუსის კონვენციის გარანტირებული უფლებების უხეში დარღვევა. ასევე, მომავალში, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოქალაქეების მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად წარმოქმნილი	ვალდებულია უზრუნველყოს მე-7 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, მათ შორის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განათავსოს გზშ-ისადმი დაქვემდებარებული **საქმიანობის განხორციელების უახლოეს საჯარო ადგილას**. მოცემულ შემთხვევაში კი საქმიანობის განხორციელების უახლოესი საჯარო ადგილები წარმოდგენილია დაბა კაზრეთში. შესაბამისად სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა დაბა კაზრეთში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში.

	კონფლიქტური სიტუაციები იქნება, მხოლოდ, სამინისტროს მიერ არასათანადოდ წარმართული პროცესის დამსახურება.	